ცნობის ფურცელი

№ 2153 — შაბათი, 17 მაისი — 1896—1903 — ყოველ-დღიური გამოცემა — № 2153

ხელმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე, ივანე როსტომის ძე მიქაძე, ივდითი მ. მიქაძისა და ელენე მ. გაბუნიასი უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ—პირველის ძვირფასის ძმის, მეორის ცოლის ბიძის, ხოლო მესამის და მეოთხის ძვირფასის ბიძის

იორდანე გიორგის ძის სიხარულიძის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 25 მაისში ქ. ტფილისში, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, და სოფელ ერკეთში, თავისს ეკლესიაშივე. (2—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. მინინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ზ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოჯოლოვსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევის და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. ელექტრობა—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საეპისკოპოსო, №-21. (ალექსანდრეს ბაღის დასავლეთით.) ტელეფონი № 274 (წლ.

სამოსახლო ადგილი
300 ჩარექა საჟ.
იყიდება

ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.

იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7, მე-9 ნაწილში. (10—6.—8)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კვირას, 25 მაისს ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) ან ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—13)

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. სალონიკში პოლიციამ ბოლგართ ეკლესიის ახლო მცხოვრები მარკოსტოიან ვანო დაამატიმრა. ვანოს ის დუქანი ექირა, საიდანაც ოტომანის ბანკში ხვრელი იყო გაყვანილი. ამბობენ, ეს ვანო იყო მაკედონიის მოძრაობის ნამდვილი მეთაურიო. ვანო 25 წლისაა, ხელობით ინჟენერია. გამოძიების დროს გამოტეხილა და უთქვამს ბეისათვის: „სრულ სიმართლეს გეტყვითო“. ვანოსთან იმისი სახლის პატრონი ხრისტოც დაუჭერიათ. სამხედრო სასამართლოს ერთხმად დაუდგენია, პეჩკოვი, რომელმაც საფრანგეთის საზოგადოების „მესაჟერი მარიტიმ“-ის გემის აფეთქება განიზრახა, სიკვდილით დაისაჯოსო. ეს განაჩენი ხონთქარს წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ დანევის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და იმის მაგიერ მთავარმა გენერალ პეტროვის სამინისტრო მიიწვია. „ნ. ფ. პრესს“-ში ასეთი ცნობებია დაბეჭდილი ახალ მინისტრებზე: „სამინისტროს მეთაური გენერალი პეტროვი—უნიჭიერეს ოფიცრად ითვლება ბოლგარიის ჯარში. პეტროვი ეხლა 42 წლისაა, შუმლაში საშუალო სასწავლებელი გაუთავებია და მასწავლებლობა დაუწყია. ბოლგარიის განთავისუფლების შემდეგ 1878 წელს, ფილიპოპოლში წასულა და იქ რუსული ენა შეუსწავლია. სამხედრო საქმე რუსეთში ნიკოლოოზის მთავარ შტაბის აკადემიაში შეუსწავლია. სამხედრო მინისტრად პეტროვი პირველად 1887 წელს დანიშნეს. იმავე წელს პეტროვმა ქალ. სილისტრიაში აჯანყებული ხალხი დაამშვიდა, მერე კიდევ ორჯელ იყო სამხედრო მინისტრად, 1893 და 1900 წ. წ. სტამბულოვისა და გრეკოვის მეგობარი იყო და ძლიერ დაახლოვებულია მთავართან. მეორე მინისტრი დიმიტრი პეტკოვიც შესანიშნავი კაცია. 45 წლისაა. 1877 წ. დიდს მონაწილეობას იღებდა ომში. პეტკოვი ყოველთვის მხნედ იცავდა კონსტიტუციას და ამით კარგი სახელი დაიმსახურა ხალხში. მთავარმა ალექსანდრე ბატენბერგელმა რომ კონსტიტუცია დაარღვია, პეტკოვმა იმის წინააღმდეგ პროკლამაცია გამოსცა; ამაზე 19 თვე ციხეში იჯდა. სტამბულოვის დროს პეტკოვი იმისი ერთგული მომხრე იყო, სტამბულოვის სიკვდილის შემდეგ სტამბულოვისტების მეთაური გახდა. დანარჩენი მინისტრები არაფრით არ არიან შესანიშნავნი“.

◆ დანევის სამინისტროს კრიზისსა და გენერალ პეტროვის სამინისტროზე შემდეგ ცნობებს იწერება „კურიერ“-ის კორესპონდენტი:

„დანევი გულ-წრფელი რუსოფილი და რუსეთის პოლიტიკის მომხრე იყო. მაკედონიის მოძრაობის დროს ის პეტერბურგიდან მიღებულ ბრძანებას ასრულებდა. „მოთმინება და სიდინჯე გმართებთ!“—უთხრა გრაფ ლამსდორფმა და დანევიც ბოლომდე ასრულებდა ლამსდორფის დარიგებას, თუმცა ეს მოთმინება ძლიერ ძვირად დაუჯდა დანევსა და იმის პარტიას: სახელი მთლად გაუტეხა ხალხში… მაკედონიის მოძრაობამ ძლიერ აღელვა ბოლგარია. ვინც პირდაპირ მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში, ან შორიდან თანაუგრძნობდა, ყველას იმედი ჰქონდათ, რომ ბოლგარიის მთავრობა ნივთიერად თუ ზნეობრივად დაეხმარებოდა მაკედონიელებს. იმას ხომ არას დროს არ მოელოდნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწია და დაბრკოლება აღმოეჩინა მაკედონელ რევოლიუციონერებისათვის. დანევის მთავრობა კი სულ სხვანაირად მოიქცა. მაკედონიის კომიტეტები დახურა, მაკედონელი პატრიოტები დაატუსაღა, იმათი რაზმები დაიჭირა და საზღვარზე არავის უშვებდა. ბოლგარიის საუკეთესო ხალხს არ მოეწონა მთავრობის ასეთი ქცევა და ჯავრი მოსდიოდა როგორც დანევის მთავრობაზე, ისე „განმათავისუფლებელ“ რუსეთზედაც. ხალხი ხმა მაღლა უჩიოდა დანევის სამინისტროს, რუსეთის პოლიტიკის ყურ-მოჭრილი მონა გახდაო.

მთავარი ფერდინანდი ძლიერ ჭკვიანი კაცია. ფერდინანდი ადრევე მიხვდა, რომ ბოლგარელებს გული გაუცრუვდათ რუსეთზე და იმის ერთგულ დანევზე, მიხვდა, რომ რუსეთისა და დანევის პოლიტიკა ჭკუაში აღარ მოსდიოდა ხალხსა და ახალი, რუსეთის წინააღმდეგი, სამინისტრო მიიწვია. უნდა მოგახსენოთ, რომ თითონ მთავარსაც ჭკუაში არ მოსდიოდა დანევი და იმის რუსოფილო-

ფელეტონი

ჰერხარტ ჰაუპტმანი

(კრიტიკული ეტიუდი *)

II

სოციალურ დრამებში ჰაუპტმანი მშვენიერად გვიხატავს ბურჟუაზიულ საზოგადოებას in toto. ამგვარ დრამებში დასურათებულია ბურჟუაზიულ წყობილების ნიშნობლივი თვისებანი, როგორც ეკონომიური, ისე გონებრივი და ზნეობრივი. განსხვავება ჰაუპტმანის ინდივიდუალურ და სოციალურ დრამათა შორის ისაა, რომ სოციალურ დრამებში საქმე გვაქვს უმთავრესად კოლლექტიურ ფსიხოლოგიასთან, და პიროვნების გრძნობებისა და მათის აზრების აღწერას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. ინდივიდუალურ დრამებში კი უმთავრესად პიროვნების გრძნობები და აზრებია დახატული.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰაუპტმანის პირველმა სოციალურმა დრამამ „მზის ამოსვლის წინ“, რომელიც წარმოადგინეს პირველად „ლესსინგის თეატრში“ 1889 წელს, ძლიერ აამღვრია ეგრედ წოდებული „დიდი“ საზოგადოება. ასე უნდა მომხდარიყო, რადგან პიესაში მშვენივრადაა დახატული ამ საზოგადოების გათახსირება, უნუგეშო მდგომარეობა. გერმანულ სცენაზე ამ საზოგადოებამ პირველად დაინახა თავისი თავი, თავისი გარყვნილი ცხოვრება და, რა თქმა უნდა, ამხედრდა კიდეც თამამ ავტორის წინააღმდეგ. საზოგადოებას ჰსურდა „ესტეტიური სიამოვნება“, პიესაში-კი იმისი უაზრო ცხოვრება კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული. ამ თავხედობამ პატივცემული საზოგადოება საშინლად აღელვა და თავისი ზიზღი ავტორს სტვენით ვამოუცხადა.

სულ სხვა ნაირად მიეგება პიესას დამსწრე საზოგადოების უმცირესი ნაწილი, რომელიც პიესის შინაარსმა მწარედ დააფიქრა და რომელმაც დიდი თანაგრძნობით შეჰხედა იმის დამწერს; პიესამ დიდად ასიამოვნა ხელოვნების ნამდვილი მეგობარნი, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან პირველად დაინახეს გერმანულ სცენაზე თანამედროვე საზოგადოების გახრწნილი და დაქვეითებული ცხოვრება. პიესა საუცხოვოდ ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ეს გარემოება საკმაო იყო, რომ ჰაუპტმანი გერმანულ დრამის რეფორმატორის სახელით მოენათლათ. მართლაც და დრამის შინაარსი ფრიად საყურადღებოა და მასთან ერთად ფრიად დამაფიქრებელიც, ამიტომ სიამოვნებით გავაცნობთ მკითხველს „მზის ამოსვლის წინ“-ის შინაარსს.

მდიდარ გლეხის (მოქმედება სწარმოებს სოფლად) კრაუზეს სახლში დროებით სცხოვრობს კრაუზეს სიძე, ინჟენერი გოფმანი. ერთ მშვენიერ დღეს გოფმანს ესტუმრა იმისი ყოფილი ამხანაგი, ალფრედ ლოტი, რომელმაც უნდა შეჰკრიბოს სასტატისტიკო ცნობები ამ სოფლის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ლოტმა, დიდის დავიდარაბის შემდეგ, ჰნახა თავის ამხანაგი გოფმანი. შეხვედრისათანავე ძველი ამხანაგები საყურადღებო საკითხებს შეეხნენ. გოფმანმა ჰკითხა ლოტს: „მითხარ, როგორ იცხოვრე, რას აკეთებდი მას შემდეგ, რაც ერმანეთს დავშორდითო“-ო. აღმოჩნდა, რომ ლოტი ორ წელიწადს საპყრობილეში იჯდა და შემდეგ უნივერსიტეტიდანაც გამოაგდეს, რადგან იმას და ზოგიერთვე მის მეგობარს უნდოდათ ამერიკაში წასვლა და იქ იდეალურ სახელმწიფოს დაარსება. ეს გაუგია მთავრობას და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკად დასაჯა. იდეალურ სახელმწიფოს დაარსების სურვილი ძლიერ აკვირვებს ინჟენერ გოფმანს. იმას სიცილადაც არა ჰყოფნის ლოტის საქციელი და სისულელეს უწოდებს იმათ ბავშვურ გატაცებას. იმის აზრით, უფულოდ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ამიტომ ურჩევს ლოტს, ფული ბლომად შეიძინოს და შემდეგ იშრომოს ხალხის სასარგებლოდ. ლოტი კი სასაცილოს არაფერსა ჰხედავს თავისს საქციელში, რადგან იმას ამხანაგებთან ერთად კაცობრიობის ბედ-იღბალი აინტერესებდა, რადგან სწადდათ კაცობრიობისათვის მაგალითი მიეცათ, თუ როგორ უნდა ცხოვრება, რანაირი უნდა იყოს ნამდვილი მთავრობა, ნამდვილი სახელმწიფო და სხვა. იმათ სურვილში იქნებ ბევრი განუხორციელებელი რამ იყო, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომ იმათი მისწრაფება მხოლოდ სისულელე იყო. არა, სრულებითაც არა, ამბობს ლოტი. ჩვენ გვინდოდა მოგვესპო ჩვენს იდეალურ სახელმწიფოში ძალმომრეობა და თვითნებობა, გვსურდა საზოგადოების წევრთა შორის ნამდვილი ძმობა და მეგობრობა დაგვემყარებინა, გვინდოდა ეხლანდელი გარყვნილება და ექსპლოატაცია მოგვესპო და მხოლოდ ეს მისწრაფებაც საკმაოა, რომ პატივისცემით მოვიხსენიოთ ჩვენი გატაცება, ჩვენი გამგზავრება ამერიკაში. განა ჩვენი უტოპიური გეგმა არა სჯობდა სხვების ჩხუბსა და ლოთობას? ეკითხება ლოტი.

ამათ წინააღმდეგ გოფმანი ვერაფერს ამბობს, მაგრამ მაინც ურჩევს ცხოვრების პირობების კარგად შესწავლას. ცხოვრება, მისის აზრით, დაარწმუნებს ლოტისთანებს, რომ მხოლოდ ფულიან კაცს შეუძლიან ხალხს ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს. ის ჰფიქრობს, რომ მხოლოდ მდიდრებმა იციან, რა სჭირია ხალხს, მხოლოდ მდიდრებს შეუძლიანთ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. ხალხი გაუნათლებელია, ხალხს არ ესმის კარგად, რა აწუხებს, ამიტომ ის ვერაფერს ვერ გააკეთებს, გოფმანის აზრით. მე ძლიერ მიყვარს ხალხი, ამბობს პატივცემული ინჟენერი, ძლიერ მეცოდებიან ღარიბ-ღატაკნი, მაგრამ შველას მაინც ზემოდან მოველი. მეცა მაქვს იდეალები, მეც ვშრომობ ხალხის სასარგებლოდ და „თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ კიდევაც შევასრულე ჩემი პრაქტიკული პროგრამა. თქვენ კი… უშეძლებოთ, უფულოდ, რა გინდათ გააკეთოთ?“ ლოტი საჭიროდ

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2151.

ბა. რასაკვირველია, ახალი სამინისტრო რუსეთის მთავრობას არ მოეწონება. იქმნება რუსეთმა სულაც ხელი აიღოს ბოლგარიის მფარველობაზე. მაგრამ ეჭვი არაა, რომ დასავლეთის ევროპას მთავარ-ფერდინანდის ქცევა და ახალი, განსვენებულ სტამბულოვის პოლიტიკის მიმდევარი, სამინისტრო ძლიერ მოეწონება. დასავლეთი ევროპა ცალიერ მოწონებასაც როდი დასჯერდება. იმედია, რომ ახალ სამინისტროს დიდ დახმარებასაც გაუწევს. ამბობენ, მთავარმა ახალი სამინისტრო სულაც დასავლეთ ევროპის დიპლომატიის რჩევით მიიწვიაო. ასე რომ რუსეთის პოლიტიკას ბოლგარიაში ამ ჟამად ისევ დასავლეთ ევროპის პოლიტიკამ სძლია.“

ახალი ამბავი

◆ ხუთშაბათს, 15 მაისს, სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოკირწყვლის საქმე**. კომისიამ გადაათვალიერა მასალა ამ საქმის შესახებ და დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, გადასცეს კომისიას მოსაკირწყლავად ნავარაუდევი 600,000 მანეთიდან 400,000 მანეთი განაპირა ქუჩების მოსაკირწყლავად, ხოლო 200,000 მანეთი—დიდის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოსაკირწყლავად. კომისიამ ამასთან დაადგინა, საბჭოს მოხსენებასთან ერთად წარუდგინოს განსახილველად სია იმ ქუჩებისა, რომელთა მოკირწვლას ეხლავე უნდა შეუდგნენ.

◆ **ნიკოლოზ ჯავრიშვილის მოკვლის საქმის** გამოძიება მიენდო გამომძიებელს ლ. გ. ევანგულოვს. ჯავრიშვილი მოჰკლეს 14 მაისს, დილის 11 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე ტფილისის საკრებულოსთან, მრავალის ხალხის თვალ-წინ. ნიკოლოზ ჯავრიშვილი „პურ-ღვინის“ სასტუმროს წინ დასეირნობდა თურმე. შეჰხვედრია ახალგაზრდა კაცი, გაზენი, რომლისთვისაც ჯავრიშვილს თავისდა უნებურად მხარი წაუკრავს. გაზენს გული მოსვლია, მოტრიალებულა და სილა გაურტყამს ჯავრიშვილისათვის, რომელსაც სამაგიერო სილითვე გადაუხდია, მაგრამ ისე ძალიან კი გაურტყამს, რომ გაზენი იქვე წაქცეულა. ამის შემდეგ ჯავრიშვილი ჩასულა ქუჩაში და წასვლა დაუპირებია. გაზენი წამომდგარა, ამოუღია რევოლვერი და უსროლია. გაზენს რევოლვერი ოთხჯერ დაუცლია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე სული დალია. გამომძიებელმა ამ საქმის თაობაზე 15 კაცს ჩამოართვა ჩვენება. როდესაც გასჭრეს ჯავრიშვილი, სამის ტყვიით დაჭრილი აღმოჩნდა. ამბობენ, ჯავრიშვილი სულით ავადმყოფი იყოო.

◆ 15 მაისს ტფილისელმა პოლონელებმა სადილი გაუმართეს „საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში **რომის კათოლიკეთა ტირასპოლელ ეპისკოპოსს ბარონ როპპს**. სადილზე ორასამდე კაცი იყო მიწვეული. წარმოსთქვეს სიტყვები.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ზაფხულს **ტფილისში ჩამოვა პროფესორი მარრი**. მარრს აზრადა აქვს თურმე ტფილისში არქეოლოგიის მოყვარულთა და ქართულ და სომხურ სიძველეების მცოდნეთა კრება მოახდინოს. კრებამ უნდა აირჩიოს თორმეტი კაცი, რომელნიც ერევნის გუბერნიაში ძველ წარწერათა შესწავლას შეუდგებიან.

◆ **ტფილისელ სომეხ კათოლიკეებს**, როგორც „ტელეფონი“ გადმოგვცემს, განუზრახავთ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ააგონ ეკკლესია სომეხ-კათოლიკეთათვის, სადაც წირვა-ლოცვა სომხურად უნდა სრულდებოდეს.

◆ კომისიამ, რომელსაც **მუხრანის ხიდის აგება აქვს დაკისრებული**, პრინციპიალურად გადასწყვიტა შეუდგეს საქმეს. კომისიამ საჭიროდ სცნო გეგმის შესადგენად კონკურსის გამოცხადება. ამასთან დაადგინა: გამოაცხადოს ამ კონკურსის შესახებ გაზეთებში; დანიშნოს კონკურსისთვის სამი პრემია: პირველი—600 მანეთიანი, მეორე—400 მ. და მესამე—200 მან.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის განკარგულებით, საგუბერნიო ექიმის თანაშემწემ რ. დ. მაჰავარიანმა და მაზრის ექიმმა ტუმაჯანოვმა, როგორც უკვე ვწერდით, **დაათვალიერეს კოჯორი და მანგლისი**. ექიმებმა ეს დაბები სანიტარის მხრივ კარგ მდგომარეობაში სცნეს. ამისდა მიუხედავად ექიმებმა ადგილობრივ მცხოვრებთ მაინც დაავალეს შეუდგნენ სახლებისა, ეზოებისა და ქუჩების დასუფთავებას. გადამდები სენი ამ დაბებში არ აღმოჩნდა.

◆ 11 მაისს ერევანში, როგორც გვატყობინებენ, **მოხდა ქალაქის ხმოსანთა არჩევნება**. ამ ქალაქში სულ 815 ამომრჩეველი ყოფილა. გამოცხადებულა 363 კაცი. ხმოსნად დაუსახელებიათ 94 კაცი, მაგრამ არჩევით სულ 44 კაცი აურჩევიათ. ასარჩევია კიდევ რამდენიმე ხმოსანი და კანდიდატი. არჩეულთა შორის 33 სომეხია, 10 თათარი და 1 რუსი.

◆ გუშინ, 16 მაისს, საღამოს 11 საათზე, ბაქოსკენ წავიდა **რკინის გზის დასათვალიერებლად** განსაკუთრებული კომისია. კომისიაში, სხვათა შორის, არიან ამიერკავკასიის რკინის გზათა და მატარებლების უფროსნი.

◆ უმაღლესის განკარგულების თანახმად, ამა თვის პირველიდან **ჯამაგირები მოუმატეს** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა, სამხედრო საინჟენერო, საარტილერიო და საინტენდანტო გამგეობათა მოხელეებს.

◆ როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისში ჩამოვიდა რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ინჟ. მანასეინი, რომელსაც დავალებული აქვს **საფოსტო-სახალხო მატარებლების მიმოსვლის დროს განწეს-რიგება**. ეხლანდელ მიმოსვლის წესით, მატარებლები ძალიან იგვიანებენ და ბევრნაირი ზარალია ამის გამო. უნდათ დააჩქარონ მატარებლების მიმოსვლა. ინჟენერმა მანასეინმა მოიარა ბათუმისა, ბაქოსი და ყარსის ნაწილები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ პარაკლისი გადაიხადა სამხედრო ტაძარში **პეტერბურგის არსებობიდან ორასის წლის შესრულების** გამო. პარაკლისს დაესწრნენ ქალაქის მოურავის მოადგილე, გამგეობის წევრნი და ორი თუ სამი ხმოსანი.

◆ 15 მაისს ტფილისიდან მცხეთაში სასეირნოდ წავიდნენ **ტფილისის საკვირაო სკოლის მოსწავლენი**. რკინის გზის გამგეობამ მესამე კლასის ვაგონი დაუთმო მეოთხე კლასის ტარიფით. დაბრუნდნენ მოსწავლენი იმავე დღეს ნაშუადღევის ოთხ საათზე.

◆ **ეგზამენები** ქალაქ ტფილისის თვითმმართველობის პირველ დაწყებით სკოლებში დამთავრდება 23 მაისს.

◆ გუშინ, 16 მაისს, მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან 10,000 მანეთი მიიღო მინისტრის რწმუნებულის კანცელარიამ. ეს ფული გადადებულია **ტფილისის საბოტანიკო ბაღის მოსაწყობად** და გასამშვენიერებლად.

◆ ქალაქის **ხორცის დუქნების** გამგე-კომისიამ 14 მაისს განიხილა ხმ. ევანგულოვის პროექტი დუქნების მოსამსახურე შტატების რეორგანიზაციის შესახებ. პროექტით, დუქნების ანგარიშის შედგენა და საქმის წარმოება ქალაქის გამგეობას უნდა მიენდოს. ბუხჰალტერს დაენიშნება 900 მან. მოანგარიშეს—480 მან., დუქნის გამგეს (იგივე კასირი) 600 მან., სამს ხორცის გამყიდველს 1260 მან. და სხვ. სულ 3000 მან., კომისიამ მოიწონა პროექტი და დაადგინა, წარუდგინოს განსახილველად ქალაქის გამგეობას.

◆ **საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი** სამსახურის საქმეებისა გამო 15 მაისს ახალ-ქალაქს წავიდა.

◆ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს აგზალის ქუჩის ტრამვაის პატრონის ცხენები და საჯინიბო. აღმოჩნდა, რომ ვერც საჯინიბოს ინახავენ კარგად და ვერც ცხენებს უვლიან. ამის გამო ოქმი შეადგინეს და ტრამვაის პატრონნი პასუხს გებაში მისცეს. საზოგადოების ადმინისტრაციამ ეს ამბავი ქალაქის გამგეობასაც აცნობა და სთხოვა საჭირო ზომების მიღება.

◆ როგორც თელავის მაზრის სოფელ შილდიდან გვწერენ, 1 მაისიდან იქ გაჩენილა ყივანა ხველა. ერთი კვირის განმავლობაში 4 კაცი გამხდარა ავად.

◆ 15 მაისს ტფილისში აკურთხეს თამბაქოს ქარხნის პატრონის ენფიაჯიანცის ახლად აგებული ქარხანა. ამავე დღეს ქარხნის პატრონმა გადაიხადა დღესასწაული ქარხნის დაარსებიდან 50 წლის შესრულების გამო. ამ დღეს ქარხნის მუშებს გაუმართეს სადილი. საიუბილეო დღესასწაულს დაესწრნენ სხვა ქარხნის წარმომადგენელნიც.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება მესამე საობლიგაციო სესხის განადების შესახებ და სთხოვა შეატყობინოს, იმის მხრივ საწინააღმდეგო ხომ არაფერი იქმნება, გამგეობა ეხლავე შეუდგეს გადაწყვეტილების განხორციელებას.

◆ აპრილის განმავლობაში სიღნაღის მაზრაში ყვავილი აუცრიათ 531 ბავშვისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა:

მდიდარი და ღარიბი იგავი—ალ. მირიანაშვილისა. დაუდგრომელი ზურა ფრანგულიდან—ან. წერეთლისა. არაკი (რუსულიდან)—მღ. ბეს. გაშაძისა. დარი (რუსულიდან)—თორნიკესა. ვარდები დექსი—ა. ბელიაშვილისა. როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება (დასასრული)—კოტე ქდითოზიშვილისა. „ახაი ჩემზე, ახა!“ ამბავი—ალ. სოლოღაშვილისა. კაპიტანი იაკობ ჭუჭო (დასასრული)—ან. წერეთლისა, თამარ მეფე (დასასრული)—დ. კარიჭაშვილისა. ძველი ისტორია ერნესტ ლავისისა, (რომის რესპუბლიკა) თარგმანი—ნ. შენგელაიასი. ზიგუსი (ფრანგულიდან)—ა. ყუმისთაველისა. წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, მატემატიკური კითხვა და პასუხი, ჩქარა გამოსათქმელი, ზმა, შარადა, რებუსი და ახსნა.

◆ 15 მაისს, საღამოთი, ორთაჭალის მახლობლად, ავტომობილით ვილაც კაცი მიდიოდა. ავტომობილმა დააფთხო მეეტლის ისსა მალლა-აჰმეტოღლის ცხენი. ცხენები გაიქცნენ და იქ, სადაც ტრამვაი ჩერდება, დაეჯახნენ ქუჩაში მიმავალთ ტფილისის მოქალაქეთ—დოლმაზოვსა და ოზგელილოვისას, წააქციეს, ზედ გადაიარეს და დააშავეს.

◆ 15 მაისს, ლაზარევის ქუჩაზე, პოლიციელმა დაიჭირა ქურდი ტფილისის მცხოვრები იოსებ ჯაფარიძე, რომელსაც სადღაც მღვდლის შესამოსელი და ქალის ტანისამოსი მოეპარა და მიჰქონდა. სად მოიპარა ჯაფარიძემ ნივთები, ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

◆ 14 მაისს, შუა ბაზარში, უეცრად გარდაიცვალა ვაჭარი ასატურ ბაბაევი, რომლის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ვერაზე კაპიტნის ცოლს გრიგორეცკისას მო-

---

არა სთვლის ამ ტემაზე ილაპარაკოს გოფმანთან და უამბობს, რა ილაპარაკა სასტუმროში გოფმანის შესახებ ორმა კაცმა.

აღმოჩნდა, რომ გოფმანს მოუტყუებია ამ სოფლის გლეხნი, რომელთაც თავიანთ უვიცობის გამო დაჰკარგეს აუარებელი სიმდიდრე. იმათ ადგილში აღმოჩენილა ქვა-ნახშირი და ეს ადგილები ჩაუგდია ხელში გოფმანს. ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა ინჟენერი. იმას ეშინიან ლოტისა, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლიან გაზეთებში გამოაქვეყნოს ეს საზიზღარი საქციელი და ამით დიდი ზარალი მოუტანოს. ისა სცდილობს კარგად გაუმასპინძლდეს საშიშ სტუმარს, სცდილობს ყველაფერი აუსრულოს, რასაც კი მოისურვებს, ოღონდ იმისი საქციელი არ გამოაშკარავდეს. გოფმანს კარგად ვიცნობთ, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, ვინ არის ბატონი გოფმანი. გოფმანი ტიპიური ბურჟუა-ინტელიგენტია. ისა სცდილობს რაც შეიძლება მეტი ფული მოიგოს, მდიდრად იცხოვროს, ამავე დროს სცდილობს, საზოგადოება იმის შესახებ კარგის აზრისა იყოს. ის არა ჰზოგავს არავითარ საშუალებას, ოღონდ თავის აზრს მიაღწიოს: ატყუებს საწყალ გლეხებს და სხვა. ინჟენერს წინანდელი გატაცება ჰუმანიურ იდეებით სიცილადაც არა ჰყოფნის. ფული—აი იმისი ღმერთი, აი რასა სცემს თაყვანს. იმან შეირთო ქალი მხოლოდ იმისთვის, რომ კრაუზეს სიმდიდრე ჩაეგდო ხელში და, ვინ იცის, რას არ მიჰმართა ამისთვის.

ასეთია გოფმანის მისწრაფებანი, ასეთია იმისი ნამდვილი სახე. პირველის შეხედვით, სულ სხვა უნდა იყოს მისი ყოფილი ამხანაგი ლოტი. როგორც თვითონ ამბობს, იგი მშრომელ ხალხის ინტერესების დამცველია, მთელის კაცობრიობის ბედ-იღბალზე მზრუნველი. იმას სულ სხვანაირად ესმის ცხოვრების საგანი, ადამიანის დანიშნულება. იმის მიზანს შეადგენს მუშა კლასის მომზადება. იმას სრულებით არ აკმაყოფილებს სოციალურ მონობაზე დამყარებული დღევანდელი წესწყობილება. გულს უკლავს, როდესაც ჰხედავს ღარიბ-ღატაკს, როდესაც ათასგვარ უსამართლობას ამჩნევს. იმას სწადიან ისეთ წყობილების გამეფება, როდესაც პიროვნება განთავისუფლდება ეკონომიურ და გონებრივ მონობისაგან. როდესაც კაცობრიობა თავისუფლად ამოისუნთქავს, ერთის სიტყვით, როდესაც შრომის საშუალებანი და იარაღნი მთელის საზოგადოების, და არა მარტო ერთის პატარა ნაწილის, საკუთრება იქმნება. იმასა ჰსურს შეაგნებინოს მშრომელ ხალხს დღევანდელ წყობილების სრული უვარგისობა, დღევანდელ საზოგადოების გათახსირება; ჰსურს შეაძულოს შრომის შვილთ ძალმომრეობა და თვითნებობა, შეაძულოს ისინი, ვინც თავგამოდებით იცავს ამ ქვეყნის ძლიერთა ინტერესებს. ასეთია ლოტის პრაქტიკული პროგრამმა. იმის აზრით, თუ დღეს მუშა ხალხი ათ-თორმეტ საათს მუშაობს დღიურად ქარხნებში და მაინც მშიერია, მომავალ წყობილების მეფობის დროს ოთხი საათი სრულიად საკმაო იქმნება აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თავისუფალ დროს-კი მოანდომებს მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვ. ლოტის აზრით, მხოლოდ ამ წყობილების დროს დაიბადება ნამდვილი პიროვნება, მხოლოდ მაშინ მოისპობა ადამიანთა შორის ქიშპობა და სამაგიეროდ დამყარდება ძმობა და სიყვარული. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს მუშათა საკითხს კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში. სოციალურ ჰარმონიის გამეფების დროს შეიქმნება სულით მთელი პიროვნება და საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ამ კლასის დამცველნი და თანამგრძნობნი დასავლეთ ევროპაში დღითი-დღე ძლიერდებიან. ლოტის აზრით, თუ ვინმეს ჰსურს კაცობრიობას ემსახუროს, უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოლოს, უთუოდ მშრომელ ხალხს უნდა ამოუდგეს გვერდში. ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ ასეთ პიროვნებას, მაგრამ მაინც კმაყოფილი უნდა იყოს ხვედრისა, რადგან ყოველ პატიოსან ადამიანისთვის დიდი სიამოვნებაა, როდესაც ჰგრძნობს, რომ ბოროტებისა და უსამართლოების წინააღმდეგ იბრძვის.

ამიტომ ლოტი, როგორც თვითონ გვარწმუნებს, მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც მთელის კაცობრიობა ბედნიერად იცხოვრებს, როდესაც ვერ დაინახავს მშიერს, და ღარიბს. ეს ლოტი საუკეთესო ადამიანი იქნებოდა, რომ შესისხლხორცებული ჰქონდეს ის იდეია, რომლის თაყვანისმცემლადაც აღიარებს თავის თავს. სამწუხაროდ, ლოტს უნდა მხოლოდ მაღალი ფრაზებით დაგვარწმუნოს, რომ გულკეთილია. იგი საქმით—უბრალო ფილისტერია. იგი მხოლოდ თანაუგრძნობს მოძრაობას, იმას ვერ შეუთვისებია რიგიანად სოციალიზმის მთავარი იდეია. ლოტი—სუსტი არსებაა., მუდამ გონებას ემორჩილება, წმინდა გრძნობები კი იმის ცხოვრებაში ნაკლებ როლს თამაშობს. დრამის შინაარსის გაცნობა დაარწმუნებს მკითხველს, რომ ეს აზრი მართალია.

კრაუზეს ჰყავს კიდევ ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც სახელად ელენე ჰქვიან. ეს საწყალი, მეტის-მეტად გულ კეთილი არსება, ძლიერ იტანჯება, რადგან გარს ახვევია ზნედაცემული ხალხი. არც ერთი ნამდვილი ადამიანი არ არის კრაუზეს სახლში. თვით სახლის პატრონი კრაუზე ლოთია, დღე-ღამ სასტუმროში გდია და არაყის სმის მეტს არას აკეთებს. ლოთობამ საშინლად დაასუსტა, ფეხზე დგომა უჭირს, ჭკუაზედაც შერყეულია. ეს კიდევ არაფერია. მისი მეორე ცოლი ფრაუ კრაუზე—ყოვლად გარყვნილი ადამიანია, ის ქმარსაც ატყუებს, ფულსაც კი იპარავს და ვინ იცის, რას არა ჰშვრება. ფრაუ კრაუზეს—ამ მეტის-მეტად ბოროტ და გავერაგებულ დედაკაცს—სურს ელენე მიათხოვოს თავის საყვარელს იმასავით გათახსირებულ ვილჰელმ კალს. გოფმანი, როგორც უკვე ვიცით, ტიპიური ბურჟუა-ინტელიგენტია, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ თავის აზრს მიაღწიოს. იმის ღმერთი მხოლოდ ფულია, ფულსა სცემს თაყვანს და გასაკვირველიც არ არის, თუ იგი ცუდად მოქმედებს ელენეზე. დაუმატეთ ამას ისიც, რომ გოფმანს ჰსურს ელენე საყვარლად გაიხადოს. გოფმანის ცოლი (ელენეს და) ავად არის. კრაუზეს წყალობით არაყს სვამს უზომოდ, რის გამოც ერთი შვილი კიდევაც მოუკვდათ (პატარა ბავშმაც დაიწყო არაყის სმა). როგორც ჰხედავთ, კრაუზეს სახლში მართლაც არა ყოფილა პატიოსანი ადამიანი. აქ ყველა გადაგვარების გზას ადგია, ყველა ფულისა და არყის შესახებ ჰფიქრობს.

იგ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

პარეს ფულად და ნივთებად 7 ათას მანეთამდე. ძებნამ უნაყოფოდ ჩაიარა და ქურდები პირველ ხანს ვერ აღმოაჩინეს. აშკარა იყო ყველასათვის, რომ ქურდობა შინაურს ან მახლობელს უნდა ჩაედინა. პოლიციამ ეჭვი მიიტანა გრიგორეცკის მოსამსახურე ქალზე, პოლინა კუზმინაზე. მაგრამ გრიგორეცკისამ გადაჭრით განაცხადა, რომ ეს მოსამსახურე არაფრის გულისთვის არ მოიპარავდაო. ამას წინად პოლინა კუზმინას ჯერ უთქვამს გრიგორეცკისათვის ნურავის ეტყვით, რასაც ქურდობის შესახებ შეგატყობინებთო და შემდეგ განუცხადებია: მე გამომიტყდა ქურდობაში 19 წლის ვაჟი სახლის პატრონისა, რომელმაც პირობა მომცა—დავაბრუნებ დამალულ ნივთებსა და ფულს, თუ გრიგორეცკისა არავის ეტყვისო. გრიგორეცკისა მაშინვე ბოქაულთან წასულა და ყველაფერი უამბნია. როდესაც ბოქაული მისულა სახლში, ნივთები სასადილო ოთახში დალაგებული უნახავთ. აღმოჩნდა, რომ ნივთებსა და ფულს არაფერი არ აკლდა. პოლიციამ სახლის პატრონის შვილი დაიბარა, მაგრამ გამოირკვა, რომ ის არაფერს შუაში იყო. ეჭვი ხელახლა მოსამსახურეზე მიიტანეს, მაგრამ გრიგორეცკისამ კიდევ გადაჭრით განუცხადა პოლიციას, რომ არ შეიძლება ამას მოეპაროს ნივთებიო. ამ რიგად ქურდის ვინაობა ვერ გამოარკვიეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ქუთაისის მაზრის სოფელს ფარცხანაყანევში ყარაულებს მოუკლავთ ერთი ქურდი და მეორეც სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ქურდებს თურმე მოპარული ცხენები მიჰყავდათ. ქურდების ვინაობა ჯერ არ იციან. როგორც მოკლული, ისე დაჭრილი ურმით ქუთაისში ჩამოიტანეს.

◆ როგორც ამბობენ, ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობის გამგე დირექტორს ა. დ. მიხაილოვს პეტერბურგში ყოფნის დროს მოუხერხებია, რომ წყლისაყვანისა და ტრამვაის გასაკეთებლად საჭირო რკინის მასალა ნისიად მისცენ; გარდა ამისა საჭირო ფულიც უშოვნია.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ხარკოვის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ამ ინსტიტუტში შესვლისა (საკონკურსო ეგზამენებით) კადეტთა კორპუსებსა, საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებსა, სასულიერო სემინარიებსა და საშუალო სატეხნიკო სასწავლებლებში (ოთხის წლის კურსისა) სწავლა დამთავრებულთ. სემინარიელებს საკონკურსო ეგზამენების დაჭერის ნება ისე მიეცემათ, რომ არ გამოსცდიან უნივერსიტეტთან ფიზიკასა და მათემატიკაში. ეგზამენები დაიწყება 16-ს და დასრულდება 20 აგვისტოს. ხსენებულ ინსტიტუტში შემდეგი განყოფილებაა: სამექანიკო (წელს მიიღებენ 100 კაცს), საინჟინერო (90 კ.), საქიმიო (60 კ.) და სასოფლო-სამეურნეო (80 კაცს).

◆ საგუბერნიო სტამბების საქმეების განსაკარგებლად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა გზათა სამინისტროს, განკარგულება მოახდინოს, რომ ხელ-ქვეითმა დაწესებულებებმა სასტამბო საქმეები საგუბერნიო სტამბებს შეუკვეთონ ხოლმე. გზათა მინისტრს უკვე მოუხდენია შესაფერი განკარგულება.

◆ პეტერბურგში ეს არის ეხლა დასრულდა მეღვინეთა კრება. კრებამ საჭიროდ დაინახა, აიკრძალოს ღვინოში გარეშე ნივთიერების გარევა, სულ ერთია, მავნებელი იქნება თუ არა ეს ნივთიერება.

◆ გზათა მინისტრმა გადასწყვიტა, რკინის გზის ის მოსამსახურენი, რომელთა წყალობითაც უბილეთო მგზავრები აღმოჩნდებიან მატარებლებში, სისხლის სამართალში მისცენ ხოლმე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება

(კორესპონდენცია)

14 მაისს, წინა სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ, ს. დ. ჯაფარიძემ ისევ აღძრა საკითხი საგზაო გადასახადის შესახებ, რომელიც გუშინ კრებამ გადასდო იმ დრომდის, სანამ მთავრობა გადასწყვეტდეს ერობის შემოღების საქმეს. „თუ გუბერნატორის ცირკულიარი უკანონოა, ეხლავე ვიშუამდგომლოთ მისი შეცვლა; რასღა ვუცდით ერობის საქმის გადაწყვეტას; თუ კანონიერია და—იმ შემთხვევაში ჩვენ ნება არა გვაქვს იმის გადადებისა. უკეთესი იქნება, ამის გამორკვევაც იმ კომისიას მიენდოს, რომელიც ამორჩეულია საშუალების გამოსაძებნად, რომ მთავრობა თავის დროზე აკმაყოფილებდეს მემამულეთ რკინის გზის ლიანდაგისთვის მიზომილ ადგილისთვის". კრებამ მიიღო ბ-ნ ჯაფარიძის წინადადება.

წაკითხულ იქმნა თავ. ნაკაშიძისა და ზუბურიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას სადგილ-მამულო წესდების მე-130 მუხლი, სადაც აკრძალულია შეკავებულ ადგილში ჩასულ სხვის საქონლის მოკვლა. თხოულობენ, აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას ამ შემთხვევაში საქონლის მოკვლისა, რომ, იქნებ, ხალხი ცოტათი შეშინდეს და ისწავლოს სხვისი საკუთრების პატივისცემა; წინააღმდეგს შემთხვევაში ჩვენი დაცემული მეურნეობა ფეხს ვერ მოიკიდებს. თავ. კიტა აბაშიძეს უადგილოდ მიაჩნდა ამ საკითხის შესახებ მსჯელობა, რადგან განცხადება დღესაა შემოტანილი და დეპუტატთა საკრებულოს ჯერ არ განუხილავსო. ს. დ. ჯაფარიძის აზრით, საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა, რომ დაკანონდეს ის, რაც ეხლა ხდებაო უკანონოდ. მსხვილ ფეხა პირუტყვის მოკვლის ნება კი არ უნდა მოგვეცეს; ნება უნდა გვქონდეთ ღორი, თხა, ბატი, ქათამი და სხ. მოვკლათო. გ. ნ. იოსელიანის აზრით, ყველამ თავისი საკუთრება უნდა დაიცვას; მაგრამ ასეთ ღონისძიებისათვის მიმართვა სამარცხვინოდ და საზარალოდ მიაჩნია. რას ემსგავსება, გლეხს ერთი ცხენისა ან ხარის მეტი არა გააჩნდეს-რა, შენ ჰკრა თოფი და გააგორო! თავ. კ. ზ. ლორთქიფანიძე წინააღმდეგია შუამდგომლობის აღძვრისა. ყველგან იმასა სცდილობენ, რომ მკაცრი კანონი შეამსუბუქონ, ჩვენ კი, წინააღმდეგ, კანონის სიმკაცრეს ვთხოულობთო. ჩვენი სამმართველოები ეხლაც სავსეა სისხლის სამართლის საქმეებით და მაშინ ხომ სულ ტევა აღარ იქმნება. ღორისა და ქათმის მოკვლა ზოგიერთებისათვის, იქნება, დიდი არაფერი იყოს, მაგრამ როგორ გნებავთ, რომ მათს მოკვლას კაცის სიკვდილიც მოჰყვეს? გარწმუნებთ, რომ ასეთი შემთხვევა ბევრი იქმნება. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქმნება, რომ ყანები, ვენახები და სხვ. კარგად შემოვღობოთ ან საქონელს მწყემსი მოვუყენოთ. მართალია, განათლებულ ქვეყნებში ერთი მტევანი ყურძენიც არ დაიკარგება, ჩვენში კი ძირიანად სჩეხენ ვაზებს, ღობეებს სტეხენ და ძალად ერეკებიან ყანაში საქონელს, მაგრამ იქ ყველას შეგნებული აქვს სხვის საკუთრების პატივისცემა და დაცვა, ჩვენ კი—არა. ეს რომ შევიგნოთ, საჭიროა სწავლა, სწავლა და განათლება.

რამდენისამე წამით სხდომის შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა თავ. ი. გ. ჭავჭავაძის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ნათქვამია: „ტფილისის თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა, რომ უმაღლესად ნაბოძები ფული მოეხმარდეს საშუალო სამეურნეო-სასწავლებლის დაარსებას. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა შეერთების შესახებ არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებთან ერთად უნდა შეიმუშაოს შეერთების პირობები."

თავმჯდომარე ხელ-ახლა დაუბრუნდა შეწყვეტილ საკითხს და სთქვა: „სასოფლო-სამეურნეო კომიტეტში აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ კაცმა თავისი მამული დაიცვას სხვის საქონლისაგან, და დაადგინეს, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ყველგან სავალდებულო გახდეს მწყემსის ყოლა. ჩემის აზრით, კარგი იქმნება, რომ ჩვენც ამ შუამდგომლობას შევუერთდეთო".

კრებამ მიიღო თავმჯდომარის წინადადება.

თავ. კიტა აბაშიძემ საჭიროდ დაინახა, კრებამ დაავალოს დეპუტატთა საკრებულოს, რომ თავად-აზნაურობის დადგენილებათა შედეგი მოხსენდეს ხოლმე მომავალ კრებებს. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

თავ. პ. ა. თუმანიშვილმა აღნიშნა ის სამწუხარო ფაქტი, რომ თავად-აზნაურთა მამულების სახელმწიფო გადასახადის საქმე ძლიერ არეულ-დარეულია, დარჩენილი გადასახადი ყოველ წლობით მატულობს, ჯარიმებიც ზედ ეკეცება. ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ ისე გაგვეყიდება მამულები გარდასახადში, რომ ვერას გავიგებთო. კრებამ დაავალა დეპუტატთა საკრებულოს, რომ იღონოს რამ მამულების გარდასახადის საქმის განწეს-რიგებისთვის. სთხოვა აგრეთვე თავ. პ. ა. თუმანიშვილს, რომ იმანაც დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში საკრებულოს.

ბოლოს შეუდგნენ კენჭის ყრით იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც გუშინ ერთხმად მიიღო კრებამ. ა) იმ შუამდგომლობას, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ასწავლიდნენ ქართულ ენას და ღვთის მსახურებაც ქართულად სრულდებოდეს, ამოუვიდა 174 თეთრი კენჭი, არც ერთი შავი არა ყოფილა. ბ) რომ ახლად გაწვეულ ჯარის კაცთ კავკასიის სამხედრო ოლქში სტოვებდნენ—172 თეთრი და 2 შავი; გ) რომ საშუალო სასწავლებლებთან გაიხსნას მესამე მოსამზადებელი კლასი, სადაც ბავშებს მხოლოდ ქართული ენის ცოდნით უნდა იღებდნენ, და რომ უმცროს მოსამზადებელს კლასში საგნებს ქართულად ასწავლიდნენ—173 თეთრი და შავი სულ არა.

სხდომა გადაიდო 15 მაისისთვის.

დონ-გუდანი

თეატრი

ხუთშაბათს, 15 მაისს, ქართულ თეატრში გაიმართა წარმოდგენა ავადმყოფ არტისტის ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. თეატრი სავსე იყო ხალხით. დრამატიულ დასის არტისტებმა წარმოადგინეს ამ საღამოს გიორგი ერისთავის კომედია „დავა". პიესა კარგად ჩაატარეს ჩვენმა არტისტებმა.

მოსკოვის სამხატვრო-სალიტერატურო თეატრს განუზრახავს მომავალ სეზონში წარმოადგინოს შექსპირის პიესები. ამ თეატრს დღემდე დიდებულ დრამატურგის პიესები არ წარმოუდგენია. არტისტებს ეხლავე დაუვალათ იმ დროს ცხოვრების შესწავლა, ტანისამოსის გაცნობა და სხვა. შექსპირის პიესების დასადგმელად გადასდეს 300 ათასი მანეთი. ამავე სეზონში წარმოადგენენ ნიჭიერ ბელეტრისტის და დრამატურგის ან. ჩეხოვის ახალ პიესას. პიესის სახელს ჯერ-ჯერობით არტისტებსაც არ უმხელენ.

დაბა-სოფლები

კოდელი (ქიზიყი). თერთმეტ მაისს ნინოს მონასტერში თავი მოიყარეს მთელის სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მოსწავლეებმა. მოსწავლეთ თან მოჰყვნენ მასწავლებლები და სკოლის გამგე მღვდლები. აქვე იყო სამაზრო სკოლების ზედამხედველი. შორის სოფლებიდან მოსწავლენი ურმებით მოეყვანათ, მახლობელ სოფლებიდან-კი ფეხითად მოვიდნენ. ბევრს დაჰგვიანებოდა და სიცხესაც მოესწრო, ამიტომ პატარა ბავშვები დაღლილნი მოქანქანებდნენ. თერთმეტ საათზე სულ შეიკრიბნენ. ვრცელ მონასტრის ახლად აშენებულ წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში ადგილად მოთავსდნენ ბავშვები; გარეშე ხალხიც ბევრი შეიკრიბა, მაგრამ მალე ისე დაცხა, რომ ბევრ ბავშს გული წაუვიდა. წირვა რუსულს ენაზედ შეასრულეს გარდა რამდენისამე ასამაღლებლისა და გალობასაც რუსულად ამბობდნენ გულის-ციხის სკოლის მასწავლებელი ქალები თავიანთი მღვდლის ლოტბარობით. ორიოდე საგალობელი ჯუგაანისა და ბაკურციხის სკოლის მოსწავლეთაც (ყმაწვილებმა) შეასრულეს. საერთოდ მოსწავლეთა გალობას არა უშავდა-რა, მხოლოდ ეტყობოდა მრავალ-ფერობა კილოსი. როგორც ვსთქვით, წირვაც და გალობაც ამ დღეს რუსულად იყო, თუმცა სულ ქართველები დასწრნენ და მეტი წვრილი ბავშვები. მონასტრის მღვდელმა ი. მირიანაშვილმა სიტყვით მიჰმართა ყმაწვილებს და გააცნო სლავიანთა მასწავლებელთა კირილე და მეთოდის ღვაწლი. აგრეთვე ის აზრიც გაატარა, რომ მოსწავლენი დიდის პატივით უნდა იგონებდნენ ამ მონასტრის წინამძღვარს, რადგან იმან მოგცათ თქვენ მასწავლებლები და ახლა კიდევ მოგიწვიათ მონასტერშიო. წირვის გათავების შემდეგ ეკკლესიიდან ნინოს ტაძარში წავიდნენ ლიტანიით და იქ გადაიხადეს პარაკლისი. შემდეგ ეზოში შეაკრიბეს მოსწავლენი, სადაც ფოტოგრაფი ელოდა მათ და საერთოდ ყველა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მღვდლების სურათები გადაიღეს. სადილად წინამძღვარმა ქალმა მიიწვია მოსწავლენი თავიანთ მასწავლებლებით და მღვდლებით. დაადგინეს უთუოდ ამ დღეს სლავიანთა მასწავლებელ კირილე და მეთოდის მოსახსენებლად ყმაწვილები მონასტერში შეიკრიბონ ხოლმე. სადილით უკან მოსწავლენი ისევ უკან წაიყვანეს.

მორეული

ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ თავად-აზნაურთა შვილების დამხმარებელი საზოგადოება

რედაქციამ მიიღო ამ საზოგადოების 1902 წლის ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ტფილისის სათავად აზნაურო სკოლაში საანგარიშო წელს ირიცხებოდა სულ 618 მოსწავლე, ამათგან პანსიონერი ყოფილა 127 და გარედან მოსიარულე—491. სასწავლებელში ამ ჟამად მოსამზადებელი კლასია, რომელიც შესდგება ოთხის ძირითადისა და სამის პარალელურ განყოფილებისაგან, და რვა გიმნაზიური კლასი. ანგარიშში ვკითხულობთ: „პროგრამმა სკოლისა სრულიად ეთანხმება სამინისტროს გიმნაზიების პროგრამმას; განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ სხვა საგნებს გარდა ჩვენს სკოლაში ასწავლიან სამშობლო გეოგრაფიას, ქართულ ენას და ენასთან ერთად საქართველოს ისტორიასაც. ამ საგნებს ჯეროვანი ადგილი უჭირავს სკოლის კურსში." შარშან სწავლა დაუმთავრებია 5 მოსწავლეს, რომელთაც მესამე გიმნაზიაში დაიჭირეს ეგზამენი. ამათგან მოწმობა მიიღო და უნივერსიტეტში შევიდა სამი, ორიც გიმნაზიის მერვე კლასში დარჩა.

საანგარიშო წელს სკოლაში მიუღიათ სულ 105 ახალი მოსწავლე. მთხოვნელი ყოფილა 198 ბავშვი. ამ ჟამად სასწავლებელში ითვლება 664 მოსწავლე, აქედან 126 პანსიონერია და 538 გარედან მოსიარულე. მერვე კლასში ცხრა მოსწავლე ყოფილა. პანსიონერთაგან საზოგადოებას სრულ ხარჯზე ჰყოლია 28 მოსწავლე, ნახევარ ხარჯზე—28. სწავლის ფულისაგან (12 მანეთია წელიწადში) განუთავისუფლებია—265 მოსწავლე.

წოდებით სასწავლებელში მყოფნი ასე განაწილდებიან: თავად-აზნაური—456, გლეხი—81, მოქალაქე—59, სასულიერო წოდებისა—47, სხვა-და-სხვა მოხელის შვილი—21. სარწმუნოებით: მართლ-მადიდებელი—658, კათოლიკე—4, მაჰმადიანი—2. ტფილისის გუბერნიიდან არის 550 მოსწავლე, ქუთაისისა—108 და 6 მოსწავლეც რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიიდანაა. სასწავლებელში 42 მასწავლებელი და აღმზრდელი ყოფილა, ამათგან 18 კაცს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული.

საზოგადოებას ამას გარდა 12 სტიპენდიანტი ჰყოლია უნივერსიტეტებში და 5—საშუალო სასწავლებელში. საანგარიშო წელს საზოგადოებას დროებით შემწეობა აღმოუჩენია უმაღლეს სასწავლებლის 13 მოსწავლისათვის.

საანგარიშო წელს საზოგადოებას დაუხარჯნია 153,635 მანეთი 61 კაპ. აქედან სკოლას მოუნდა—70,266 მ. 50 კ., სკოლის ახალ შენობას—47.628 მ. 72 კ. შემოსავალი ჰქონია—131, 471 მ. 70 კ. ფულად ვალი—21,000 მან. სკრის მამულზე დაუხარჯნია 4,935 მან. 67 კაპ., შემოსვლია ამ მამულიდან—2,995 მ. 62 კ.

უძრავი ქონება საზოგადოებას ჰქონია 447,696 მ. 25 კაპეიკისა, ქალთა კომიტეტის თანხა საანგარიშო წელს იყო 27,087 მ. 44 კაპ., სტიპენდიების თანხა—15,766 მან 80 კაპ.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ამ დღეებში სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ერთის მემამულის დიდი უძრავი ქონება ვადიან გარდასახადის შეუტანლობისა გამო. ეს მამული შეიძინეს ბ-ნთ ივანე როსტომის ძე მიქაძემ, დავით პავლეს ძე მაჭავარიანმა და დავით მიხეილის ძე წიკლაურმა. რადგან ეს შემთხვევა იმ მემამულის შეცდომით მოხდა, ზემოხსენებულ პირთ, თანახმად ჩემის პირადის თხოვნისა, კეთილ-ინებეს და გარდასწყვიტეს ნაყიდი მამული უკანვე დაუბრუნონ პატრონს უსასყიდლოდ. მხოლოდ თითონვე მესაკუთრემ მოისურვა თავისის თავის დასჯა უმეცარობის გამო და შესძლია მათ ჯილდოდ ექვსასი მანეთი. მაგრამ იმათ ფული თავისდა სასარგებლოდ არ მიიღეს და საქველ-მოქმედო საქმისთვის გადასდეს,—მიქაძემ და მაჭავარიანმა ამ ფულიდან 400 მან. შესწირეს სათავად-აზნაურო სკოლის შენობას, ხოლო წიკლაურმა 200 მან.—წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელს, სადაც იგი აღიზარდა.

ასეთის მატიონსურის და ჩვენს დროში იშვიათის მაგალითის გამო ვალად ვრაცხდი ჩემს თავს პირადი მადლობა მეთქვა ბ-ნთ მიქაძეს, მაჭავარიანისა და წიკლაურისათვის. ამასთან საჯაროდ ვუცხადებ იმათ ჩემს უგულითადესს და წრფელს მადლობას, რადგან არ ინებეს უცაბედის შემთხვევით სარგებლობა და არ დადუმეს ერთი თანამემამულე ოჯახთაგანი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ზ. მელიქიშვილი

სასამართლო

სიყალბის ჩადენა.

1896 წლს ტფილისის მოქალაქეთა გამგეობაში მოურავის თანამდებობაზედ აურჩევიათ ელიგარ ელიგაროვი, ხოლო ხარჯის ამკრებ მამასახლისად გრიგოლ კონიევი. ბუხჰალტრის თანამდებობას ასრულებდა კონსტანტინე ურდანოვი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონია საკვიტანციო შემოსავალ-გასავლის წიგნების წარმოება. მოქალაქეთაგან გადასახადს პირდაპირ ღებულობდა თურმე კონიევი, რომელიც მამასახლისობის გარდა ასრულებდა ხაზინადრის თანამდებობასაც. ფულების მიღების შემდეგ ცნობებს იგი აძლევდა ბუხჰალტერს ურდანოვს და ეს უკანასკნელი ნიშნავდა წიგნებში. საზოგადო საჭიროებათათვის შემოსული ფული ყოფილა მოქალაქეთა მოურავის ხელში, რომელიც ამ ფულს ინახავდა სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და აქედან საჭიროების დროს წვრილ-წვრილად გამოჰქონდა ხოლმე. ფოსტიდან შემოსულ ფულის შესახებ ცნობა ცალკე წიგნში იწერებოდა ურდანოვის მიერ, რომელიც შემდეგ უგზავნიდა თურმე მათ გამომგზავნელთ კვიტანციებს. ამას გარდა ურდანოვს დავალებული ჰქონია, გამგეობის კასის შესახებ თავისს დროზე ანგარიშების შედგენა. 1897 წელს, ივლისში, ერთი ამისთანა ანგარიში წარუდგენია ელიგაროვისათვის. ანგარიში ყოფილა 1897 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე. ელიგაროვს ამის შემდეგ ურდანოვი რამდენისამე ხნით სამსახურისაგან განუთავისუფლებია. როცა ურდანოვი წასულა, გადასახადის ამკრებს კონიევს უთქვამს ელიგაროვისათვის, ურდანოვმა ბარათი მომწერა, რომ თუ ვინიცობა საზოგადოების კასაში 400-500 მანეთით ნაკლები აღმოჩნდა, როცა დავბრუნდები, მაშინ შევავსებო. ელიგაროვს მეორე მოხელის გრიქუროვისათვის დაუვალებია ახალის ანგარიშის შედგენა კასის შესახებ. ურდანოვი დაბრუნებულა; როცა გრიქუროვი ანგარიშის შედგენას შესდგომია, ურდანოვს შემოსავალ-გასავლის წიგნები წაუღია შინ და ადარივისათვის დაუნებებია. მაშინ, ელიგაროვის განკარგულებით, ამოურჩევიათ სარევიზიო კომისია, რომელიც შესდგომია გამგეობის საქმეთა რევიზიას. სარევიზიო კომისიის თხოვნაზე ურდანოვს განუცხადებია, რომ 1896 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნები დაიკარგაო და ნაცვლად მაგად შედგენილი წიგნები წარუდგენია. 1897 წლის წიგნის ნაცვლად, რომელიც შემოწმებული ყოფილა მოქალაქეთა გამგეობის მიერ, ურდანოვს სხვა წიგნი შეუდგენია და გადაუცია კომისიისათვის. ამ წიგნთან ერთად წარუდგენია ხელახლად შედგენილი ანგარიში. ურდანოვს შეუცვლია შემოსავალ-გასავლის წიგნები 1896 და 1897 წლებისა. აღმოჩნდა, რომ ყოველი თვის შემოსავალი რამდენისამე მანეთით ნაკლები ყოფილა ნაჩვენები. სარევიზიო კომისიას გამოურკვევია, რომ საანგარიშო წელს შემოსულა 39,316 მან. 51 კაპ. და დახარჯულა 34,419 მან. ასე რომ კასაში უნდა დარჩენილიყო 4816 მან. ნამდვილად კი აღმოჩნდა 3130 მან. გაუფლანგიათ 1661 მან. საქმე გამომძიებელს გადაეცა. გამორკვეულა, რომ კონსტ. ურდანოვს აწ გარდაცვალებულ მამასახლის კონიევთან ერთად შეთანხმებით მიუთვისებია მოქალაქეთა საზოგადოების ფული. ამის დასამალავად გამოუცვლია 1896 და 1897 წლის შემოსავლისა და გასავლის წიგნები. ყველა ამის გამო პასუხის გებაში მიცემულ კონსტანტინე ურდანოვის საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 12 მაისს.

13 მაისს, ორი საათის თათბირის შემდეგ, ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ურდანოვი მხოლოდ წიგნების ყალბად შედგენაში და მიუსაჯა ოთხის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი.

პეტერბურგი. ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დღეს, ისაკის ტაძარში პარაკლისს დაესწრნენ დიდი მთავრები ბორის ვლადიმირის ძე, ანდრია ვლადიმირის ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, პეტრე ნიკოლოზის ძე, სერგეი მიხეილის ძე, თავადი გიორგი მაქსიმილიანის ძე რომანოვსკი ლიხტენბერგის ჰერცოგი, მინისტრები, წარჩინებულნი და ბევრი ქალაქის მოურავი, საიუბილეო „დღესასწაულზე მოსული. პარაკლისის დროს პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონიმ მუხლ-მოდრეკით ლოცვა წაიკითხა ხელმწიფისათვის.

კონსტანტინეპოლი. აქ ამბობენ, „ფიგარო"-ს ცნობა ოსმალეთის ჯარის განზრახულ საზოგადო მობილიზაციაზე სრულიად უსაფუძვლოაო.

კონსტანტინეპოლი. უსკიუბს, მონასტირის ვილაიეტსა, სალონიკსა, ადრიანოპოლსა და კონსტანტინეპოლში დატუსაღებულ საეჭვო ბოლგართა საზოგადო რიცხვი 3,000 აჭარბობს. დღემდე არაა მიღებული ხალმი-ფაშის წინადადება, რომ ის ბოლგარნი, რომლებიც კომიტეტების მოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ, განდ აშკარა საქმეც არა ჩაედინოსთ-რა, ტრიპოლისსა და მცირე აზიაში გაიგზავნენო.—პორტას ცნობით, ალბანიაში მარტო საქმის მეთაურებს ატუსაღებენ, საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდისო.

სოფია. „ავანს ტელეგრაფიკ ბულგარ"-ი აღნიშნავს: უსაფუძვლოა ის ცნობა, ვითომ მთავრობამ ნაჩევიჩს განსაკუთრებული საქმე მიანდო კონსტანტინეპოლშიო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარი იუწყება, რომ ჰენჯობში, სადაც 22$^1/_2$ მილიონი ხალხი სცხოვრობს, 1 თებერვლიდან 2 მაისამდე 141,789 სული გახდა შავის ჭირით ავადაო.

პარიზი. დღეს ჟილდოები დაურიგეს დეკორატიულ ხელოვნების სექციის მონაწილეთ. რუხომოვსკის მესამე ხარისხის მედალი მიუსაჯეს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სახალხო განათლების მინისტრი მოვიდა აქა.

ლონდონი. ლორდთა პალატამ სხდომები 29 მაისამდე გადადვა.

ბუხარესტი. „რუმინიის სააგენტოს" დაავალეს, გამოაცხადეთ, რომ ცნობა ანტისემიტურ მოძრაობაზე სრულიად უსაფუძვლოაო.

რომი. მეფე ვიქტორ-ემანუელი 25 ივნისს მივა ლონდონში; სამის დღით წინ მეფე პარიზში მივა და ლუბეს ესტუმრება.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ბერი წინადადებას იძლევა, 19 მაისიდან 2 ივლისამდე ხორბლის ბაჟი 5 ფრანკამდე შევამციროთო. პალატამ უარჰყო ეს წინადადება. სენატმა სამხედრო კანონ-პროექტის 16 მუხლი დაამტკიცა.

კონსტანტინეპოლი. „ავანს დე კონსტანტინეპოლ"-ი აცხადებს, გაზეთების ცნობა, ვითომ პრინცის მოჰამეტ-ბურხან-ედინ-ეფენდის მეთაურობით პეტერბურგში ოსმალეთის საგანგებო მისია იგზავნებოდეს—სრულიად უსაფუძვლოაო.

ვენა. სათემო საბჭომ ერთის სოციალ-დემოკრატის გარდა, ერთხმად დაადგინა: პეტერბურგის ქალაქის საბჭოს შევატყობინოთ, საბჭო მეტად სწუხს, რომ იუბილეიზე დეპუტაციის გაგზავნა არ შეუძლიან, თუმცა მიწვევა გულითადის გრძნობით მიიღო. საბჭო სურვილს აცხადებს, რომ პეტერბურგს კვლავაც წარმატების გზაზე ევლოს.—პრაგის საქალაქო საბჭომ, 11 ხმით 6 წინააღმდეგ, დაადგინა: პეტერბურგში მილოცვის წერილი გავგზავნოთ, დელეგატებს კი ნუ გავგზავნითო.

„ფრანკ ფურტერ ცაიტუნგ"-ის ცნობით, მინისტრად ნამყოფმა ნაჩევიჩმა ბოლგარიის მთავრობის განსაკუთრებულ დელეგატობა იკისრა იმ აზრით, რომ ოსმალეთთან პირდაპირი მოლაპარაკება გამართოს მაკედონიის საქმეზე.

სოფია. ნაჩევიჩი კონსტანტინეპოლს წავიდა. იმას მინდობილი აქვს მოლაპარაკება „modus vivendi"-ს დასადგენად მაკედონიის კითხვაში. იმან მიიღო მინისტრისაგან ჩვენება ამ საქმეზე და ოსმალეთის კომისართან ჰქონდა რჩევა. იმისდა მიუხედავად, რომ „ბოლგარეთის ტელეგრაფის სააგენტო" უარ-ჰყოფს ამას, „ვეჩერნია პოშტა" მაინც ამტკიცებს, რომ ნაჩევიჩი მთავრობის სურვილით მიდისო. თუმცა ეს უკანასკნელი უარ-ჰყოფს, ამ მისსიას ოფიციალური ხასიათი არ აქვსო, მაგრამ ამას იმიტომ სჩადის, რომ ჯერ სწორედ არ იცის სასურველი შედეგი ექნება თუ არა ამ საქმეს.—მთავარი და ყველა მინისტრები კარლოვოს წავიდნენ ნაციონალური გმირის ლევსკის სახსოვრად ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე დასასწრებლად. იქიდან ისინი ბურგასს წავლენ, და იქ 18 მაისს მოხდება პორტის გახსნა.

სანტ-იაგო. იკვიკში შავი ჭირის აღმოჩენის მიზეზად ინდოეთიდან შემოტანილ ბრინჯს ასახელებენ.

ცეტინიე. შავი ზღვის ტერიტორიის საზღვარზე მდებარე ოსმალეთის ოლქებში სრული მშვიდობიანობაა.

16 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად უბრძანა შინაგან საქმეთა მინისტრს უფის გუბერნატორის დეისტ. სტ. სოვ. ბოგდანოვიჩის დასაფლავების დღეს გამოუცხადოს მიცვალებულის ოჯახობას მისი უდიდებულესობის მეფური სამძიმარი და გადასცეს მას, რომ მის იმპერატორებითი უდიდებულესობას მუდამ ეხსომება მიცვალებული, რომელმაც გმირულ სიკვდილით დააგვირგვინა ტახტის და მამულის სამსახური.—მის უდიდებულესობის ხელმწიფა-იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ულანებმა 15 მაისს გადაიხადეს დღესასწაული პოლკის 250 წლის იუბილეის გამო. ხელმწიფე-იმპერატორს და ხელმწიფა-იმპერატრიცას მეფეთ მუნდირები ლეიბ-გვარდიის ულანების პოლკისა და ანდრიას ლენტები ჰქონდათ. ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფა-იმპერატრიცა ცხენებზე შესხდნენ და პარაკლისის შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორმა გიორგის შტანდარტს საიუბილეო ლენტი გაუკეთა. როცა პოლკი ცერემონიულ მარშისთვის ემზადებოდა, უავგუსტოესმა შეფმა პოლკისამ, ხელმწიფა-იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაიჭირა ადგილი პოლკის თავში და ხელმწიფე-იმპერატორის წინ გაატარა.

სოფია. „კორესპონდ. ბიურო"-ს ცნობა, ვითომ სარაფოვი ბოლგარიაში დაბრუნებულიყოს, ტყუილია.—სულეიმანის ახლო, მელნიკის კაზაში, სარდალი დონჩო ოსმალთა რაზმს შეეტაკა. ბრძოლა რამდენსამე საათს გაგრძელდა.—დუბნიცაში და სამაკოფში ახალი ლტოლვილები მოვიდნენ.

კონსტანტინეპოლი. მოვიდა ნაჩევიჩი.

ესენტუკი. გაიხსნა სეზონი. კარგი ამინდია შარშანდელზე მეტი ავადმყოფები მოდიან. აკურთხეს და გახსნეს ახალი სასტუმრო, რომელშიაც 100 ნომერია ჯერ და 100 ერთის კვირით შემდეგ გაიხსნება.

ნოვგოროდი. „ვოლხოვის ლისტოკს" დეპეშით ატყობინებენ, რომ გზათა უწყების ინჟენერმა ბორეიშამ შესწირა მიწა და ტყე ვერებიეს სადგურს ახლო ქალთა სამრეწველო სკოლის სასარგებლოდ. ადგილში ქვის ეკკლესია და სახლია. ჰღირს 110,000 მანეთად.

კურსკი. გუბერნიის საერობო კრებამ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს საზღვარ-გარეთის რკინაზე ბაჟის შემცირებისა და იმის შესახებ, რომ რკინის მკეთებელთა სინდიკატებს შედგენის ნება არ დაერთოს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. დაბუშერი შეეკითხა არის თუ არა დიდ ბრიტანიისა და სპარსეთს შუა ხელშეკრულობა, რომლის თანახმადაც სპარსეთს აღკრძალული ექმნება სპარსეთის სრუტესთან მდებარე თავის ტერრიტორიით სარგებლობაო. კრანბორნმა უპასუხა, რომ ამგვარი ხელშეკრულობა არ არის, მაგრამ სამხრეთ სპარსეთში დიდ-ბრიტანია სარგებლობს ზოგიერთა უფლებებით, რაც სპარსეთმა მიანიჭა. გარდა ამისა, რუსეთსა და დიდ-ბრიტანიას შუა შეთანხმებაა, რომ სპარსეთის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა დაცულ იყოსო.

სოფია. მეამბოხეთა რაზმი 52 კაცისა კეპრიულუს ახლოს ოსმალოს ჯარს შეეტაკა. მოკლულია 15 მეამბოხე და ჯარის უფროსი მაიორი ჯალალ-ბეი. ბიტოლის ვილაეტში მეამბოხენი რამდენსამე ადგილს გამოჩნდნენ. ოსმალოს ელჩმა პარიზში გაზეთებს აცნობა, ვითომც პატრონები და თოფები უპოვნიათ გაგზავნილი ბოლგარიის მიტროპოლიტის სახელობაზე დიბრაში; ეს ამბავი უსაფუძვლოა. ამ ამბის განზრახვა ის არის, რომ ევროპის საზოგადოების თვალში გაამართლოს ოსმალოს მთავრობის მოქმედება ბოლგარიის სამღვდელოების წინააღმდეგ მაკედონიაში.

კონსტანტინეპოლი. კონსულის მოხსენების თანახმად მონასტირიდან, ვილაეტში საქმის მდგომარეობა და ოსმალ მცხოვრებთა ყოფაქცევა საშიშია. ხალხს განსაკუთრებით აღელვებს უთავბოლო დაპატიმრება ბოლგარელებისა. განსაკუთრებული ზომები, ბოლგართა წინააღმდეგ მიმართულნი, მეტის-მეტად უჭირებენ ხალხს საქმეს, რადგან ხშირად იმისთანა პირებს სჯიან, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ამბოხებასთან. უსკიუბის, სოლონიკის, ადრიანოპოლის და განსაკუთრებით მონასტირის ვილაეტებში დაპატიმრებულ ბოლგართა შორის ბევრი სასულიერო პირებიც არის. სოფლის მცხოვრებლები იმას სჩივიან, რომ არა ჰყავთ სასულიერო პირები მკვდრების დასამარხავადაც კი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ პირველ წაკითხვის შემდეგ 142 ხმით 82 წინააღმდეგ მიიღო ის კანონ-პროექტი, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას აღკრძალოს იმისთანა შაქრის შემოტანა, რომელზედაც პრემიაა მიცემული.

ჰამბურგი. მოვიდა დანიის კოროლი და ვისბადენში მიემგზავრება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო შაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 22 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ნავთის საწყობებისთვის ქალაქის მიწა ნავთლუღის სადგურის მახლობლად.

მსურველს პირობებისა და ადგილის გეგმის გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან ვაჭრობის დღეს უნდა წარადგინოს ბეთ 3000 მანეთი. შეიძლება დაბეჭდილ კონვერტების წარდგენა ვაჭრობამდე. (2—6.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაჰირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—52)

ცინკოგრაფია

წიგნის გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 373.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)